



სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის სტრატეგიული
განვითარების გეგმა
(2016 – 2021)

გორი

2016

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (ეთა) 2016-2021 წლების განვითარების სტრატეგიული გეგმა ასახავს ეთა-ს 2016-2020 წლების ხედვის დოკუმენტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიღწევის გზებს სტრუქტურული ერთეულების მიერ დაგეგმილი ღონისძიებებისა და აქტივობების შესრულების საფუძველზე.

ეთას განვითარების სტრატეგია ემყარება რა ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის დაგეგმვის სტრატეგიულ დოკუმენტებში ასახულ პრიორიტეტებს, ეთა-ს 2016-2020 წლების ხედვის დოკუმენტს, ეთა მოახდენს სტრატეგიული განვითარების გეგმის საჭიროებისამებრ კორექტირებას დაგეგმილი ღონისძიებებისა და აქტივობების იმპლემენტაციის და პერიოდული თვითშეფასებების საფუძველზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის დაგეგმვის სტრატეგიულ დოკუმენტებში ასახულ პრიორიტეტებთან, ეთას მისიასთან, 2016-2020 წლების ხედვის დოკუმენტთან და უმაღლესი სამხედრო განათლების სისტემის განვითარების მიზნებთან.

მისია

ეთა-ს მისიას წარმოადგენს საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და ქვეყნისთვის უმაღლესი აკადემიური და სამხედრო განათლების, მაღალი ეთიკის, მტკიცე მორალისა და ლიდერის თვისებების მქონე ოფიცერთა კორპუსის მომზადება.

მიზანი

ეთა-ს მიზანია თავდაცვის ტრანსფორმაციის პროცესის მხარდაჭერა, თავდაცვის სამინისტროსა და უსაფრთხოების სექტორის სამოქალაქო და სამხედრო პერსონალისთვის თანამედროვე ტექნოლოგიებსა და სწავლების უახლეს მეთოდებზე დაფუძნებული, მაღალი ხარისხის აკადემიური განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა.

2016-2020 წლების პრიორიტეტები

ეთა-ს მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, რაც, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს შეიარაღებული ძალების მოთხოვნების შესაბამისად ოფიცერთა სამხედრო განათლების საფეხურებრივი სასწავლო პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებას გულისხმობს, 2016-2020 წლების პრიორიტეტული მიმართულებებია:

- სასწავლო პროცესის სრული ციკლის ეფექტიანი ფუნქციონირება;
- მართვის თანამედროვე მიდგომებისა და მექანიზმების დანერგვა-განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება;
- ქვეყნის და საერთაშორისო მასშტაბით თანამშრომლობის განვითარება;
- სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობა.

2016-2021 წლების განვითარების ძირითადი მიზნები:

- სამოქალაქო და სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამების ოპტიმალური ინტეგრირების ხარისხის ამაღლება და საზღვარგარეთის უმაღლესი სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებების ანალოგიური საგანმანათლებლო დაწესებულებების მოწინავე

- გამოცდილების გათვალისწინების საფუძველზე ეროვნული თავდაცვის აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების მაღალი რელევანტურობის უზრუნველყოფა ;
- ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტების მიერ როგორც მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ექსპერტიზის უზრუნველყოფა, ისე პერსპექტივაში შესათავაზებელი პროგრამების შემუშავებაში მათი ჩართულობა;
 - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა და, საჭიროების შემთხვევაში, როგორც მოქმედი პროგრამების ხელმეორე აკრედიტაციისთვის მომზადება, ისე თავდაცვის სამინისტროსთან კოორდინაციით პრიორიტეტულად განსაზღვრული მიმართულებების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების ხსენებული სტანდარტების შესაბამისად ჩამოყალიბება და, კომპეტენციების ფარგლებში, აკრედიტაციის მისაღებად საჭირო ყველა პროცედურის განხორციელება;
 - შეიარაღებული ძალების საჭიროებებიდან გამომდინარე, თავდაცვის სამინისტროსთან და გენერალურ შტაბთან კოორდინაციით განსაზღვრული ახალი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინიცირება;
 - სასწავლო პროცესზე მუდმივი მონიტორინგის საფუძველზე ისევე, როგორც პროფესორ-მასწავლებლებთან, იუნკერებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან მუდმივი უკუკავშირის გათვალისწინებით სასწავლო გეგმის სისტემატიური ოპტიმიზაცია და აქტუალურ გამოწვევებზე მორგება;
 - ორმაგი სპეციალობის მინიჭებაზე ორიენტირებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
 - უცხო ენის და, პრიორიტეტულად ინგლისური ენის ცოდნის მაღალ სტანდარტზე ორიენტაცია. საშუალოვადიან პერსპექტივაში საბაკალავრო სკოლის ოთხივე კურსის იუნკერთათვის ორი უცხო ენის შეთავაზება: სავალდებულო ინგლისური + მეორე არჩევითი უცხო ენა. დადგენილი სტანდარტის დაკმაყოფილების ხარისხის მუდმივი კონტროლი, მათ შორის გარე ექსპერტთა ჩართულობის საშუალებით;
 - აკადემიური და საშტატო პერსონალის უწყვეტ განათლებაზე ორიენტაცია. არსებული საჭიროებების გათვალისწინებით კვალიფიკაციის ამაღლებაზე ორიენტირებული სხვადასხვა ფორმატის აქტივობების ორგანიზება როგორც დარგობრივი ცოდნის ისე მეთოდურ-დიდაქტიკური უნარების დახვეწა-გაუმჯობესების მიზნით; აკადემიის იუნკერების/მსმენელების, სამხედრო ინსტრუქტორების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობა და მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და სასწავლო კურსებში მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;
 - სწავლების / სწავლების ადმინისტრირების ინტერაქციული საშუალებების ეტაპობრივი დანერგვა და საშუალოვადიან პერსპექტივაში აკადემიის ყველა სკოლის საჭიროებაზე სრული მორგება;
 - ადგილობრივ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ინსტიტუციონალური თანამშრომლობის ხარისხის ამაღლება იუნკერთა / სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ფორმალური და არაფორმალური კომუნიკაციის ხელშეწყობის საშუალებით;
 - როგორც აკადემიური პერსონალის, ისე მთელი პედაგოგიური კორპუსის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წახალისება და კარიერული წინსვლის სტიმულირება;

- რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალის თემატიკის დივერსიფიცირება;
- კვალიფიციური აკადემიური კადრის იდენტიფიკაცია და მოზიდვა საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სტრუქტურულ-შინაარსობრივი ოპტიმიზაციის და სალექციო პროცესის დახვეწა-გამრავალფეროვნების მიზნით;
- საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სპეციალობის მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების მიზნით სათანადო ლაბორატორიული ბაზის შექმნა, სასწავლო პროცესში ინტერგირება და მუდმივი დახვეწა-განახლება;
- აკადემიის ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით, იუნკერთა, პროფესორ-მასწავლებლეთა და ინსტრუქტორთა საჭიროებების გათვალისწინებით აკადემიის წიგნადი ფონდის და ელექტრონული ლიტერატურული რესურსის შევსება და გაფართოება;
- საზოგადოებაში ეროვნული თავდაცვის აკადემიის ცნობადობის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, მათ შორის, ქვეყნის მასშტაბით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის, მოსწავლეების და მათი მშობლებისთვის აკადემიის საქმიანობის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება.
- საერთაშორისო დონეზე სამოქალაქო და სამხედრო სასწავლო დაწესებულებებთან აკადემიის თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია, მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების დამყარება და გამოცდილების გაზიარება უცხოურ საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან და სამეცნიერო-კვლევით წრეებთან;
- აქტიური თანამშრომლობის გაგრძელება ნატო-ს სხვადასხვა პროგრამასთან რაც უზრუნველყოფს ზოგადი სასწავლო ციკლის მოდერნიზებას აკადემიაში და ნატო-ს სტანდარტებთან თავსებადობას.
- თავდაცვისა და უსაფრთხოების სპიკერების სერიის გააქტიურება და განვითარება,
- თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვა - განათლების ხარისხის ასამაღლებლად სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარება, ტოტალური ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შექმნა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებში ყველა დაინტერესებული პირის ჩართვა.
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება და დახვეწა.

დასახული პრიორიტეტებისა და ზოგადი მიზნების მისაღწევად ეთა-ს სტრუქტურული ერთეულების მიერ 2016-2021 წლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებების და აქტივობების განხორციელება:

2016 წელი

საბაკალავრო სკოლა

- საგანმანათლებლო პროგრამების გადახალისება. კურიკულუმებსა და სილაბუსებში ისევე, როგორც შეფასების სისტემაში საჭირო ცვლილებების ინიცირება და აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად გატანა;

- იუნკერთა ახალი ნაკადის მიღება;
- პროფესორის თანამდებობაზე კონკურსის ინიცირება და პროფესორების არჩევა;
- თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამების პრიორიტეტულობის განსაზღვრა და შესაბამისი პროგრამების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის წარდგენა აკრედიტაციის პროცედურების გასავლელად;
- ელექტრონული საგამოცდო სისტემის სრული დატვირთვით ამოქმედება.
- ინტეგრირებული სასწავლო, საინფორმაციო და ადმინისტრაციული სისტემის (ILIAS) ინტეგრირების მეორე ფაზა: მიმდინარე შეფასებების სტატისტიკური ანალიზის მოდულის ინტეგრირება;
- „თავდაცვის და უსაფრთხოების“ მიმართულების ჩამოსაყალიბებელი ღონისძიებების განხორციელება და შესაბამისი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და აკრედიტაციის პროცედურებისთვის მომზადება;
- რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალის მორიგი ნომრის გამოცემა;
- საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენაში მონაწილეობა;
- საინფორმაციო ვიზიტები თბილისის და რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში;
- ზაფხულის სემესტრისთვის საბაკალავრო ნაშრომების მოსამზადებლად საორგანიზაციო სამუშაოს განხორციელება;
- პროექტის "წარმატებული იუნკერი"-ს განხორციელება.
- სხვადასხვა სახის შემეცნებითი, ინტელექტუალური, სპორტული და საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზება.
- მონაწილეობა უმაღლეს სასწავლებლებს შორის გამართულ უნივერსიადებში, "სტუდენტურ დღეებში" და სხვა ღონისძიებებში,
- "ლიდერის ჩამოყალიბების პროგრამის" მხარდაჭერა და განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა.
- საბაკალავრო სკოლის კურსდამთავრებულთა მეორე გამოშვება

სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი, თავდაცვის უმაღლესი სკოლა

- ახალი ინფრასტრუქტურის ათვისება და შესაბამისად აღჭურვა
- სამაგისტრო პროგრამის „თავდაცვის ანალიზის“ აკრედიტაცია;
- სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის სტრუქტურის განახლება აკადემიური მოთხოვნების თანახმად;
- ინტელექტუალური რესურსის მობილიზება, აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადება და მიმართულების შესაბამისად დაკომპლექტება;
- აუცილებელი სასწავლო მასალის სრული მოცულობით უზრუნვეყოფა;
- სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის ბაზაზე 2016 წლის შემოდგომიდან სამაგისტრო პროგრამის „თავდაცვის ანალიზი“ ამოქმედება.
- სამაგისტრო პროგრამაზე მიღების გამოცხადება და შესაბამისი ინფორმაციის გაცრცელება;
- ILIAS- ილიასის სასწავლო პროგრამის იმპლემენტაციზე მუშაობა;

კაპიტნის საკარიერო სკოლა

- სასწავლო პროგრამების განახლება და კაპიტნის საკარიერო კურსების ახალი პროგრამით დაწყება.
- მანევრის კაპიტნის საკარიერო კურსის ინგლისურ ენაზე მომზადებისათვის სამუშაოების დაწყება
- გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კაპიტნის საკარიერო სკოლის განათლების სარდლობაზე დაქვემდებარებულ სტრუქტურულ ერთეულებში (საერთო საჯარისო მომზადების ცენტრი) ინტეგრაციის ორგანიზება

უმცროს ოფიცერთა სკოლა

- საბაკალავრო პროგრამის სამხედრო კომპონენტის გაუმჯობესება და დახვეწა;
- საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის საწყისი და ძირითადი სამხედრო განათლების მქონე მაღალკვალიფიციური ოფიცრების მომზადების ხელშეწყობა;
- სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად თანამედროვე მიდგომებისა და მექანიზმების დანერგვა-განვითარება;
- გამოცდილი და კვალიფიციური ინსტრუქტორების მოზიდვა და განვითარება;
- სამხედრო განათლების კონცეფციის შესაბამისად საწყისი სამხედრო განათლების, ძირითადი სამხედრო განათლების პირველი საფეხურის და ძირითადი სამხედრო განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსობრივი და ლოგიკური ბმა;
- სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- სასწავლო პროგრამიდან გამომდინარე მიმდინარე, შუალედური, დასკვნითი და გამოსაშვები გამოცდების ჩატარება „ილიას“-ის სისტემაში;
- საჭიროებიდან გამომდინარე სკოლაში მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;
- სკოლის მიზნებისა და ამოცანების ხარისხიანად შესასრულებლად მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვა;
- სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება;
- ინსტრუქტორების გაგზავნა სხვადასხვა საკვალიფიკაციო კურსებზე როგორც საქართველოში, ასევე ქვეყნის გარეთ;
- პროგრამის სწავლის შედეგების შიდა და გარე შეფასების სისტემის დანერგვა;
- საბრძოლო ქვედანაყოფებში პერიოდული ვიზიტების ჩატარება, სკოლის კურსდამთავრებული ოფიცრების სწავლის შედეგების პრაქტიკაში გამოყენების უნარების შესამოწმებლად და გამოვლენილი ხარვეზებიდან გამომდინარე სასწავლო პროგრამების გაუმჯობესება.

ენობრივი მომზადების სკოლა

- ინგლისური, გერმანული, თურქული, ფრანგული, რუსული და სპარსული ენების ინტენსიური სწავლების პროგრამებზე სასწავლო პროცესის წარმართვა;
- მიმდინარე, შუალედური და გამოსაშვები გამოცდების ჩატარება;
- აშშ-ის თავდაცვის ენების ინსტიტუტიდან მოვლინებული ინსტრუქტორების მიერ მეცადინეობების ჩატარება ავღანეთის სამშვიდობო მისიაში მონაწილეობის მისაღებად გათვალისწინებულ მსმენელებთან;

- ამერიკელი საზღვაო ქვეითთა სამხედრო ინსტრუქტორების მიერ წვრთნების ჩატარება ავღანეთის სამშვიდობო მისიაში მონაწილეობის მისაღებად გათვალისწინებულ მსმენელებთან;
- კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ენობრივი მომზადების სკოლის მასწავლებელთა მივლინება საზღვარგარეთ სხვადასხვა სასწავლო კურსებსა და ტრენინგებზე.

პროფესიული განვითარების ცენტრი

- ეროვნული თავდაცვის უმაღლესი კურსი 2016
- კეთილსინდისიერების ამაღლების სემინარი წელიწადში 3 ჯერ
- ადამიანური რესურსების მართვის ტრენინგი წელიწადში 2 ჯერ
- სტრატეგიული კომუნიკაციების კურსი 2016
- გენდერული მრჩევლის გადამზადების სემინარი
- კიბერუსაფრთხოების კურსი
- სტრესის მართვა (ადგილობრივი კურსი)
- ეფექტური კომუნიკაციების მართვის კურსი (ადგილობრივი)
- პროექტების მართვა
- ჰიბრიდული ომი და მისგან ომდინარე საფრთხეები (ადგილობრივი)
- მოლაპარაკებების წარმოება
- თავდაცვისა და უსაფრთხოების მართვა
- საჯარო მოხელის საორიენტაციო კურსი
- დისტანციური სწავლების მექანიზმების განვითარება
- თავდაცვის ინსტიტუციონალური განვითარების (Defence Institution Building) პროექტის ფარგლებში სხვადასხვა ტრენინგების და სემინარების ჩატარება, მათ შორის: თავდაცვის ტრანსფორმაცია და რეფორმები.
- DEEP ის ფარგლებში სხვადასხვა ტრენინგების და სემინარების ჩატარება
- ქვეყნის სხვა სამთავრობო ტრენინგ ცენტრებთან თანამშრომლობა
- სხვადასხვა სასწავლო სახელმძღვანელოების მომზადება გამოცემაში მონაწილეობა
- ცენტრის ინფასტრუქტურის და ტრენინგ შესაძლებლობების განვითარება
- ადგილობრივი ინტელექტუალური რესურსის განვითარება
- ბიბლიოთეკის და ელექტრონულ რესურსებზე წვდომის შესაძლებლობების განვითარება

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

- აკადემიის ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცესისათვის მომზადების პროცესის ხელმძღვანელობა, შესაბამისი ღონისძიებების გატარება, თვითშეფასების ანგარიშების შევსების უზრუნველყოფა
- აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შესახებ ნატოს სტანდარტებთან და ბოლონიის პროცესთან შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტის შემუშავება - ხარისხის უზრუნველყოფის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და ძირითადი პრინციპების, სტანდარტების, პროცედურების შემუშავება და არსებულის დახვეწა საზღვარგარეთის ქვეყნების სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, ნატოს სკოლის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობის გზით;

- დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი კვლევის ჩატარება და მიღებული შედეგების საფუძველზე შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა;
- საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად , ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:
 - შეიმუშავებს კითხვარებს და ატარებს იუნკერების, მსმენელების გამოკითხვას
 - აანალიზებს იუნკერების შეფასებებს
 - მონიტორინგს უწევს სასწავლო პროცესს
 - აანალიზებს შედეგებს და აკეთებს რეკომენდაციებს
 - ატარებს ტრენინგებს პედაგოგების/ინსტრუქტორთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, სწავლების და შეფასების ახალი მეთოდების გასაცნობად
 - ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამებს და სილაბუსებს;
 - ამზადებს თვითშეფასების ყოველწლიურ ანგარიშებს ხარისხის განვითარების ცენტრში წარსადგენად

საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველო

- საერთაშორისო დონეზე სამოქალაქო და სამხედრო სასწავლო დაწესებულებებთან აკადემიის თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია, მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების დამყარება და გამოცდილების გაზიარება უცხოურ საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან და სამეცნიერო-კვლევით წრეებთან;
- უცხოურ საგანმანათლებლო უნივერსიტეტებთან ურთიერთგაგების მემორანდუმების გაფორმება და ერთობლივი საგანმანათლებლო/შემეცნებითი ღონისძიებების განხორციელება;
- აკადემიის იუნკერების, სამხედრო ინსტრუქტორების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობა და მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და სასწავლო კურსებში მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;
- აქტიური თანამშრომლობის გაგარძელება ნატო-ს სხვადასხვა პროგრამასთან (ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამა PDP, პარტნიორობა მშვიდობისათვის კონსორციუმი, PFP-C, ენების საერთაშორისო საკოორდინაციო ბიურო, BILC) რაც უზრუნველყოფს ზოგადი სასწავლო ციკლის მოდერნიზებას აკადემიაში და ნატო-ს სტანდარტებთან თავსებადობას.
- ეთა-სა და ნატო-ს სამხედრო განათლების განვითარების პროგრამას (DEEP) შორის გაფორმებული სამოქმედო გეგმის გადახედვა და ღონისძიებების დაგეგმვა:
 - Backward Planning Activity - გამოცდილების გაზიარება ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების მართვის კუთხით, ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში, მარტი, 2016;
- თავდაცვისა და უსაფრთხოების სპიკერების სერიის გააქტიურება აკადემიაში, პროგრამის ფარგლებში აკადემიაში უცხოელი ოფიციალური პირების მოწვევა და ქვეყნისა თუ საერთაშორისო მასშტაბით აქტუალურ თემებზე ლექციების ჩატარება და დისკუსიების გამართვა.
- საერთაშორისო კვირეულის ორგანიზება აკადემიაში;

- ეთა-სა და ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის კოლეჯთან ურთიერთობების დამყარება და თანამშრომლობის დამყარება;

ადმინისტრაცია

- ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე მექანიზმებისა და პროცესების განვითარება და ინსტიტუციონალიზაცია.
- მაღალკვალიფიციური და მოტივირებული აკადემიური, ადმინისტრაციული და სამხედრო პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, პროფესიული ზრდის, შეფასებისა და კარიერის მართვის სისტემების დახვეწა.
- არსებული შენობა ნაგებობების სარემონტო სამუშაოების დასრულება.
- აკადემიის ტერიტორიაზე ახალი კორპუსების მშენებლობის ორგანიზება, რათა მოხდეს აკადემიის ყველა სტრუქტურული ერთეულის განთავსება აკადემიის ტერიტორიაზე.
- დამატებით საჭირო სპორტ კომპლექსის, საკონფერენციო დარბაზის და სასტუმროს მშენებლობის ორგანიზება.
- საჯარო ლექციების, დისკუსიების, გამოფენებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობის მიღება.
- აკადემიის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ტრენინგების ორგანიზება.
- აკადემიის საბიბლიოთეკო ფონდის შევსება/განახლება.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

- ეროვნული თავდაცვის აკადემიის პოპულარიზაცია და აკადემიის სწავლის პრიორიტეტების წარმოჩენა;
- დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის მიწოდება აკადემიისა და არსებული სკოლების შესახებ;
- სხვადასხვა პროექტებში, ღონისძიებებსა და გამოფენებში მონაწილეობა;
- სარეკლამო რგოლებისა და საიმიჯო მასალების განახლება;
- აკადემიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების პოპულარიზაცია და აბიტურიენტების მოზიდვა;
- ოფიცერთა მომზადების საკანდიდატო კურსის აბიტურიენტების მოზიდვა და მათთვის კურსთან დაკავშირებული ინფორმაციის მაქსიმალურად მიწოდება;
- სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი სასწავლო დაწესებულებებისთვის ინფორმაციის მიწოდება აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;
- კონფერენციების, ლექციების, შეხვედრების, გამოფენებისა და აკადემიაში განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება და გაშუქება;
- აკადემიის პრიორიტეტებიდან გამომდინარე ყოველწლიურად სხვადასხვა ღონისძიებების გატარება და არსებული სარეკლამო კამპანიების მასშტაბების გაზრდა.

ფსიქოლოგიური მომსახურების განყოფილება

- თითოეულ პირველკურსელ მსმენელზე პიროვნების პროფილის შექმნა.
- ბაკალავრიატის იუნკრებთან ჯგუფური შეხვედრები მათთვის აქტუალურ თემებთან დაკავშირებით. რეკომენდაციების შემუშავება.
- სალექციო კურსი უმცროს ოფიცერთა სკოლის საკანდიდატო კურსზე "ფსიქოლოგიასა და სამხედრო ეთიკაში"
- უმცროს ოფიცერთა სკოლის საკანდიდატო კურსის მსმენელთა ტესტირება მათი ემოციური მგრადობის და ლიდერული უნარების დადგენის მიზნით.
- საინფორმაციო-მეთოდურილიტერატური შექმნა აკადემიის იუნკერთა და მსმენელთათვის აქტუალურ თემებზე: აგრესია, უძილობა, ადაპტაცია, კონფლიქტი და ზეგავლენა.
- ბაკალავრიატის მსმენელთა აკადემიური მოსწრების და ინტელექტუალური შესაძლებლობების შედარება (შუალედური და დასკვნითი შეფასებების შემდგომ).
- სტრესორებისა და ხელისშემშლელ ფაქტორთა გამოვლენის მიზნით იუნკერთა კვლევა ანკეტირების საშუალებით.
- საბაკალავრო კურსზე მისაღებ აბიტურიენტთა შერჩევაში მოწილეობის მიღება
- უმცროს ოფიცერთა სკოლის საკანდიდატო კურსის მსმენელთა შერჩევის მიზნით გასაუბრებაში მონაწილეობის მიღება.
- საწყისი-საბრძოლო მომზადების მონიტორინგი

2017 წელი

საბაკალავრო სკოლა

- საგანმანათლებლო პროგრამების გადახალისება. კურიკულუმებსა და სილაბუსებში ისევე, როგორც შეფასების სისტემაში საჭირო ცვლილებების ინიცირება და აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად გატანა;
- იუნკერთა ახალი ნაკადის მიღება;
- აკადემიური თანამდებობების (ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) დასაკავებლად კონკურსის ინიცირება და შესაბამისი აკადემიური პერსონალის არჩევა;
- ელექტრონული საგამოცდო სისტემის სრული დატვირთვით ამოქმედება
- ინტეგრირებული სასწავლო, საინფორმაციო და ადმინისტრაციული სისტემის (ILIAS) ინტეგრირების მესამე ფაზა. იგეგმება სასწავლო და აღრიცხვის კომპონენტისთვის ცხრილების ელექტრონულად გენერირების პროგრამის და შეფასების და მონიტორინგის განყოფილებისათვის განკუთვნილი პროგრამა ტესტების ვალიდურობის სტატისტიკური ანალიზის განხორციელების უზრუნველსაყოფად;
- საბაკალავრო სკოლის ენობრივი მომზადების განყოფილება განახორციელებს ყველა უცხო ენაზე იუნკერთა დონეების მიხედვით გადანაწილებას.
- „თავდაცვის და უსაფრთხოების“ მიმართულებაზე სასწავლო პროცესის დაწყება;
- ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ხელმეორე აკრედიტაციისთვის მომზადება და შესაბამისი პროცედურების გასავლელად ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა;
- რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალის მორიგი ნომრის გამოცემა;
- საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენაში მონაწილეობა;
- საინფორმაციო ვიზიტები თბილისის და რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში;

- ზაფხულის სემესტრისთვის საბაკალავრო ნაშრომების მოსამზადებლად საორგანიზაციო სამუშაოს განხორციელება;
- პროექტის " წარმატებული იუნკერი"-ს განხორციელება.
- სხვადასხვა სახის შემეცნებითი, ინტელექტუალური, სპორტული და საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზება.
- მონაწილეობა უმაღლეს სასწავლებლებს შორის გამართულ უნივერსიადებში, "სტუდენტურ დღეებში" და სხვა ღონისძიებებში,
- "ლიდერის ჩამოყალიბების პროგრამის" მხარდაჭერა და განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა.
- საბაკალავრო სკოლის კურსდამთავრებულთა მესამე გამოშვება

სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი, თავდაცვის უმაღლესი სკოლა

- სამაგისტრო პროგრამის „თავდაცვის ანალიზის" დახვეწა განახლება;
- პროგრამის მიმდინარე მონიტორინგი და თავდაცვის სამინისტროსთვის შესაბამისი დასკვნის მომზადება.
- აუცილებელი სასწავლო მასალის სრული მოცულობით უზრუნველყოფა და ინტელექტუალური რესურსის მობილიზება;
- კოლეჯის პერსონალის (ინსტრუქტორების) მისაღები სტანდარტების შემუშავება, რაც გულისხმობს სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის დასრულების დიპლომისა და მაგისტრის ხარისხის ქონის აუცილებლობას;
- შესარჩევი პროგრამის, (Electives), შემუშავება;
- ბალტიის თავდაცვის კოლეჯთან გაცვლითი პროგრამის შემუშავება;
- შესარჩევი პროგრამის, (Electives), ამოქმედება
- ILIAS- ის სასწავლო პროგრამის იმპლემენტაცია

კაპიტნის საკარიერო სკოლა

- სასწავლო პროგრამების უწყვეტი განახლება, საქართველოს შეიარაღებულ ძალებისა და ნატოს სტანდარტებზე თავსობადობის მოთხოვნებიდან გამომდინარე.
- მანევრის კაპიტნის საკარიერო კურსის ინგლისურ ენაზე მომზადებისათვის სამუშაოების გაგრძელება, საპილოტე კურსის (მოდულის) ჩატარება ქართველი სამხედრო მოსამსახურეების მონაწილეობით.
- გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კაპიტნის საკარიერო სკოლის განათლების სარდლობაზე დაქვემდებარებულ სტრუქტურულ ერთეულებში (საერთო საჯარისო მომზადების ცენტრი) ინტეგრაციის ორგანიზება

უმცროს ოფიცერთა სკოლა

- საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის საწყისი და ძირითადი სამხედრო განათლების მქონე ძმადალკვალიფიციური ოფიცრების მომზადების ხელშეწყობა;
- სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად თანამედროვე მიდგომებისა და მექანიზმების დანერგვა-განვითარება;
- გამოცდილი და კვალიფიციური ინსტრუქტორების მოზიდვა და განვითარება;
- სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;

- საჭიროებიდან გამომდინარე სკოლაში მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;
- სკოლის მიზნებისა და ამოცანების ხარისხიანად შესასრულებლად მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვა;
- საბრძოლო ქვედანაყოფებში პერიოდული ვიზიტების ჩატარება, სკოლის კურსდამთავრებული ოფიცრების სწავლის შედეგების პრაქტიკაში გამოყენების ინარების შესამოწმებლად და გამოვლენილი ხარვეზებიდან გამომდინარე სასწავლო პროგრამების გაუმჯობესება;
- ინსტრუქტორების გაგზავნა სხვადასხვა საკვალიფიკაციო კურსებზე როგორც საქართველოში, ასევე ქვეყნის გარეთ;
- პროგრამის სწავლის შედეგების შიდა და გარე შეფასების სისტემის დანერგვა;
- სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება.

ენობრივი მომზადების სკოლა

- ინგლისური, გერმანული, თურქული, ფრანგული, რუსული და სპარსული ენების ინტენსიური სწავლების პროგრამებზე სასწავლო პროცესის წარმართვა.
- მიმდინარე, შუალედური და გამოსაშვები გამოცდების ჩატარება;
- მოწვეული სპეციალისტების მიერ ენობრივი მომზადების სკოლის მასწავლებელთათვის ტრენინგების ჩატარება.
- კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ენობრივი მომზადების სკოლის მასწავლებელთა მივლინება საზღვარგარეთ სხვადასხვა სასწავლო კურსებსა და ტრენინგებზე.

პროფესიული განვითარების ცენტრი

- პროფესიული განვითარების ცენტრის ჩამოყალიბება „დავდაცვის ინსტიტუციონალური განვითარების სკოლად“ და გასვლა ეროვნული თავდაცვის აკადემიის შემადგენლობიდან.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის, მასწავლებლების და ინსტრუქტორების მოტივაციის კვლევა, საჭიროების შემთხვევაში, კვალიფიკაციის ამაღლებისა და მოტივაციის გაზრდისათვის აუცილებელი, უფრო ეფექტური მექანიზმების შემუშავება და დანერგვა;
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმის დახვეწა;
- იუნკერის/მსმენელის/ მიღწევების შეფასების სისტემის დახვეწა;
- ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე ინფორმაციის და პროცედურების გამჭვირვალობის, ღიაობის და სანდოობისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფისთვის შესაბამისი კვლევების განხორციელება. კვლევის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების დაინტერესებული მხარეებისთვის მიწოდება.
- კვლევის შედეგების და რეკომენდაციების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების და დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების და მიღწეული შედეგების კონტროლი.

- ქართულ ენაში მომზადების პროგრამის აკრედიტაციის პროცესისათვის მომზადების პროცესის ხელმძღვანელობა, შესაბამისი ღონისძიებების გატარება, თვითშეფასების ანგარიშების შევსების უზრუნველყოფა
- თანამშრომლობა საზღვარგარეთის ქვეყნების სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის განსავითარებლად;

საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველო

- საერთაშორისო დონეზე სამოქალაქო და სამხედრო სასწავლო დაწესებულებებთან აკადემიის თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია, მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების დამყარება და გამოცდილების გაზიარება უცხოურ საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან და სამეცნიერო-კვლევით წრეებთან;
- უცხოურ საგანმანათლებლო უნივერსიტეტებთან ურთიერთგაგების მემორანდუმების გაფორმება და ერთობლივი საგანმანათლებლო/შემეცნებითი ღონისძიებების განხორციელება;
- აკადემიის იუნკერების, სამხედრო ინსტრუქტორების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობა და მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და სასწავლო კურსებში მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;
- აქტიური თანამშრომლობის გაგარძელება ნატო-ს სხვადასხვა პროგრამასთან (ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამა PDP, პარტნიორობა მშვიდობისათვის კონსორციუმი, PFP-C, ენების საერთაშორისო საკოორდინაციო ბიურო, BILC) რაც უზრუნველყოფს ზოგადი სასწავლო ციკლის მოდერნიზებას აკადემიაში და ნატო-ს სტანდარტებთან თავსებადობას.
- ეთა-სა და ნატო-ს სამხედრო განათლების განვითარების პროგრამას (DEEP) შორის გაფორმებული სამოქმედო გეგმის გადახედვა და ღონისძიებების დაგეგმვა;
- ეთა-ს მაგისტრატურის პროგრამისთვის სასწავლო პროგრამებისა და კურიკულუმების განვითარებაში DEEP-იის ტრენერების დახმარება და უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარება;
- თავდაცვისა და უსაფრთხოების სპიკერების პროგრამის ფარგლებში აკადემიაში უცხოელი ოფიციალური პირების მოწვევა და ქვეყნისა თუ საერთაშორისო მასშტაბით აქტუალურ თემებზე ლექციების ჩატარება და დისკუსიების გამართვა.
- საერთაშორისო კვირეულის ორგანიზება აკადემიაში;
- ეთა-სა და ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის კოლეჯთან ურთიერთობების ინტენსიფიკაცია.

ადმინისტრაცია

- ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე მექანიზმებისა და პროცესების განვითარება და ინსტიტუციონალიზაცია.

- მაღალკვალიფიციური და მოტივირებული აკადემიური, ადმინისტრაციული და სამხედრო პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, პროფესიული ზრდის, შეფასებისა და კარიერის მართვის სისტემების დახვეწა.
- აკადემიის ტერიტორიაზე ახალი კორპუსების მშენებლობა, რათა მოხდეს აკადემიის ყველა სტრუქტურული ერთეულის განთავსება აკადემიის ტერიტორიაზე.
- დამატებით საჭირო სპორტ კომპლექსის, საკონფერენციო დარბაზის მშენებლობა.
- საჯარო ლექციების, დისკუსიების, გამოფენებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობის მიღება.
- აკადემიის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ტრენინგების ორგანიზება.
- აკადემიის საბიბლიოთეკო ფონდის შევსება/განახლება.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

- ეროვნული თავდაცვის აკადემიის პოპულარიზაცია და აკადემიაში სწავლის პრიორიტეტების წარმოჩენა;
- სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამების პოპულარიზაცია და აბიტურიენტების მოზიდვა;
- დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის მიწოდება აკადემიისა და არსებული სკოლების შესახებ;
- სხვადასხვა პროექტებში, ღონისძიებებსა და გამოფენებში მონაწილეობა;
- სარეკლამო რგოლებისა და საიმიჯო მასალების განახლება და დახვეწა;
- ოფიცერთა მომზადების საკანდიდატო კურსის აბიტურიენტების მოზიდვა და მათთვის კურსთან დაკავშირებული ინფორმაციის მაქსიმალურად მიწოდება;
- სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი სასწავლო დაწესებულებებისთვის ინფორმაციის მიწოდება აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;
- კონფერენციების, ლექციების, შეხვედრების, გამოფენებისა და აკადემიაში განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება და გაშუქება;
- აკადემიის პრიორიტეტებიდან გამომდინარე ყოველწლიურად სხვადასხვა ღონისძიებების გატარება და არსებული სარეკლამო კამპანიების მასშტაბების გაზრდა.

ფსიქოლოგიური მომსახურების განყოფილება

- თითოეულ პირველკურსელ მსმენელზე პიროვნების პროფილის შექმნა.
- ბაკალავრიატის იუნკრებთან ჯგუფური შეხვედრები მათთვის აქტუალურ თემებთან დაკავშირებით. რეკომენდაციების შემუშავება.
- უმცროს ოფიცერთა სკოლის საკანდიდატო კურსის მსმენელთა ტესტირება მათი ემოციური მგრადობის და ლიდერული უნარების დადგენის მიზნით.

- საინფორმაციო-მეთოდურილიტერატურული შექმნა აკადემიის იუნკერთა და მსმენელთათვის აქტუალურ თემებზე: აგრესია, უძილობა, ადაპტაცია, კონფლიქტი და ზეგავლენა.
- ბაკალავრიატის მსმენელთა აკადემიური მოსწრების და ინტელექტუალური შესაძლებლობების შედარება (შუალედური და დასკვნითი შეფასებების შემდგომ).
- სტრესორებისა და ხელისშემშლელ ფაქტორთა გამოვლენის მიზნით იუნკერთა კვლევა ანკეტირების საშუალებით.
- საბაკალავრო კურსზე მისაღებ აბიტურიენტთა შერჩევაში მოწილეობის მიღება
- უმცროს ოფიცერთა სკოლის საკანდიდატო კურსის მსმენელთა შერჩევის მიზნით გასაუბრებაში მონაწილეობის მიღება.
- საწყისი-საბრძოლო მომზადების მონიტორინგი

2018 წელი

საბაკალავრო სკოლა

- საგანმანათლებლო პროგრამების გადახალისება. კურიკულუმებსა და სილაბუსებში ისევე, როგორც შეფასების სისტემაში საჭირო ცვლილებების ინიცირება და აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად გატანა;
- იუნკერთა ახალი ნაკადის მიღება;
- აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ინიცირება და შესაბამისი აკადემიური პერსონალის არჩევა;
- ინტეგრირებული სასწავლო, საინფორმაციო და ადმინისტრაციული სისტემის (ILIAS) დამატებითი შესაძლებლობების ინტეგრირება (საჭიროების შესაბამისად)
- მენეჯმენტის და ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მომზადება და ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შესაბამისი პროცედურების გასავლელად წარდგენა;
- თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით პრიორიტეტული სპეციალობის შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის იდენტიფიცირება და პროგრამის გასაწერად და განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება;
- რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალის მორიგი ნომრის გამოცემა;
- საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენაში მონაწილეობა;
- საინფორმაციო ვიზიტები თბილისის და რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში;
- ზაფხულის სემესტრისთვის საბაკალავრო ნაშრომების მოსამზადებლად საორგანიზაციო სამუშაოს განხორციელება;
- პროექტის "წარმატებული იუნკერი"-ს განხორციელება.
- სხვადასხვა სახის შემეცნებითი, ინტელექტუალური, სპორტული და საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზება.
- მონაწილეობა უმაღლეს სასწავლებლებს შორის გამართულ უნივერსიადებში, "სტუდენტურ დღეებში" და სხვა ღონისძიებებში,
- "ლიდერის ჩამოყალიბების პროგრამის" მხარდაჭერა და განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა.
- საბაკალავრო სკოლის კურსდამთავრებულთა მეოთხე გამოშვება

სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი, თავდაცვის უმაღლესი სკოლა

- შესარჩევი პროგრამის, (Electives), ამოქმედება;
- ბალტიის თავდაცვის კოლეჯთან გაცვლითი პროგრამის ამოქმედება;
- NATO-ს კოლეჯთან გაცვლითი პროგრამის შემუშავება;
- სამაგისტრო დონეზე შემდეგი ნაკადის მიღება;
- საგანმანათლებლო პროგრამების გადახალისება. კურიკულუმებსა და სილაბუსებში ისევე, როგორც შეფასების სისტემაში საჭირო ცვლილებების ინიცირება და აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად გატანა;
- თავდაცვის სამინისტროსთან კოორდინაციით დამატებითი პროგრამების ამოქმედების საჭიროების განსაზღვრა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება;
- მაგისტრების პირველი ნაკადის გამოშვება

კაპიტნის საკარიერო სკოლა

- სასწავლო პროგრამების უწყვეტი განახლება, საქართველოს შეიარაღებულ ძალებისა და ნატოს სტანდარტებზე თავსობადობის მოთხოვნებიდან გამომდინარე.
- მანევრის კაპიტნის საკარიერო კურსის ინგლისურ ენაზე მომზადებისათვის სამუშაოების დასრულება, სრული საპილოტე კურსის ჩატარება ქართველი და უცხოელი სამხედრო მოსამსახურეების მონაწილეობით.
- გამოცდილების გაზიარებისა და თავსებადობის მაღალი ხარისხის მიღწევის მიზნით ინსტრუქტორთა გაცვლითი პროგრამების ორგანიზება ნატოს წევრი ქვეყნების შეიარაღებული ძალების კაპიტნის საკარიერო სკოლის/კურსების ეკვივალენტ სასწავლებლებთან.

უმცროს ოფიცერთა სკოლა

- საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის საწყისი და ძირითადი სამხედრო განათლების მქონე ძმაღალკვალიფიციური ოფიცრების მომზადების ხელშეწყობა;
- სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად თანამედროვე მიდგომებისა და მექანიზმების დანერგვა-განვითარება;
- გამოცდილი და კვალიფიციური ინსტრუქტორების მოზიდვა და განვითარება;
- სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- საჭიროებიდან გამომდინარე სკოლაში მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;
- სკოლის მიზნებისა და ამოცანების ხარისხიანად შესასრულებლად მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვა;

- საბრძოლო ქვედანაყოფებში პერიოდული ვიზიტების ჩატარება, სკოლის კურსდამთავრებული ოფიცრების სწავლის შედეგების პრაქტიკაში გამოყენების ინარების შესამოწმებლად და გამოვლენილი ხარვეზებიდან გამომდინარე სასწავლო პროგრამების გაუმჯობესება;
- ინსტრუქტორების გაზავნა სხვადასხვა საკვალიფიკაციო კურსებზე როგორც საქართველოში, ასევე ქვეყნის გარეთ;
- პროგრამის სწავლის შედეგების შიდა და გარე შეფასების სისტემის დანერგვა;
- სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება.

ენობრივი მომზადების სკოლა

